სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N49

ქ. ოზურგეთი 16 ივნისი 2023 წელი

1. ხელშეკრულების დამდები

მხარეებიწინამდებარე ხელშეკრულება

დადებულია:
ერთი მხრივ, შპს ,,სატისი”-ს დირექტორის ნუგზარ ჩხარტიშვილის სახით (შემდგომში-შემსყიდველი),
მისამართი: ქ.ოზურგეთი, გ.გიორგაძის ქ №7
საიდენტიფიკაციო კოდი:
№437066201სს ,,საქართველოს
ბანკი”
კოდი: BAGAGE22
საბანკო
რეკვიზიტები:GE81BG0000000161779444
ელ.ფოსტა:ltd.satisi@gmail.com

LTD Satisi
Digitally signed by LTD Satisi
Date: 2023.06.16 10:51:24 +04'00'

და მეორეს მხრივ, ი.მ. თენგიზ ონიანი
(შემდგომში„მიმწოდებელი“)
მის.: ოზურგეთი,დავით აღმაშენებლის ქ#8
ს/კ: 33001026143
ს/ს თი-ბი-
სიბანკი
კოდი:
TBCBGE22
ა/ნ: GE28TB7508545064300010
ელ.ფოსტა

Tengiz Oniani 33001026143
Digitally signed by Tengiz Oniani
Date: 2023.06.16 10:52:56

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც,,მხარე”, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც ,,მხარეები”, საქართველოს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10მუხლის მესამეპუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე (SMP230001575) ,გამარტივებული შესყიდვის შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება 75 საათით (ექსკავატორი BA944L).

(კლასიფიკატორის კოდი: **CPV45500000)**. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია; CPV45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისადა მათი ოპერატორების დაქირავება.

დასახელება	CPV	ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა (სთ)	საერთო ღირებულება (ლარი)
მიწის სათხრელი მოწყობილობებისა და მათი ოპერატორების დაქირავება	45520000	სთ	80,00	75,00	6000,00

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 სახელშეკრულებო საათოობრივი ღირებულება შეადგენს 6000,00 (ექვსი ათასი) ლარს. 1 სთ-ღირებულება განისაზრვრება 80 ლარის ოდენობით, სულ 75 სთ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებსა და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები , ადგილი და პირობები.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 22 ივნისიდან 2023 წლის 22 ივლისის ჩათვლით.
6.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.
6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლებიდოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა)

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს შპს ,,სატისის” ტექნიკრი სამსახურის უფროსი აკაკი ჭანუყვაძე.

8. ანგარიშსწორების ფორმა

8.1 მიმწოდებელთან ანგარშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტით.
8.2 ანგარისწორება განხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივიბიუჯეტით.
8.3 ანგარიშსწორებამხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობა

9.1 მომწოდებელმა მომსახურების პერიოდში უნდა უზრუნველყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ადმინისტრაციულ საზღვრებში),,შემსყიდველი" -ს მოთხოვნის შესაბამისად გრუნტის მოჭრა, ამოღებული და მოჭრილი მასის შეგროვება, სატვირთო მანქანაზე დატვირთვა ან/და მოთხოვნის შემთხვევაში სხვა სახის სამუშაოები.
მომწოდებელი უზრუნველყოფს ყველა ხარჯს (დღგ–ს გარდა) სპეცტექნიკის ექსპლუატაციისათვის, საწვავის ხარჯის ჩათვლით.
მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექსკავატორის ტრანსპორტირება მომსახურების გაწევის ადგილზე. სპეცტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მომწოდებელი ვალდებულია ჩაანაცვლოს ან შეაკეთოსიგი 2 კალენდარული დღის განმავლობაში.
9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულპირობებთან.
9.3 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
9.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
9.5 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში , დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს

გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% ოდენობით.

11. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

11.1 ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე უფლებამოსილიაცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება;
11.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისინაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც. ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული
გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ თავისუფლება მხარეებსვალდებულებების შესრულეისგან;
11.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედევად მისი დაწყების დროისა); გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელიამოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
ე) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები დაირღვა 15 დღეზე მეტი დროით.
11.5 ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმებით.
11.6 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დამრღვევი მხარე დაჯარიმდებახელშეკრულების მთილიანი ღირებულების 10% ს ოდენობით.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორსმაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ

შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ;

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავნე სასამრთლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

15.2 ხელშეკრულება შედგენი;ლია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან; ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერიმიმოწერა შესრულებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე;

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15.4 შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი პირ(ებ)ი ადასტურებენ რომ მიმწოდებელთან არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2023 წლის 16 ივნისი

ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, შპს,,სატისი“ საჭიროებისთვის - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება - შესყიდვასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებაში ი.მ. თენგიზონიანთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს ,,სატისი“-ს დირექტორი:
ნუგზარ ჩხარტიშვილი